# სახალხო გაზეთი

№ 769 შაბათი, 8 დეკემბერი 1912 წ. № 769

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება: დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.**
**„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

## ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

**პრემიად** 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

## ორ წიგნს:

### 1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოები უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

### 2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოები, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ ენკენისთვეში.**

**გაზეთის ფასი** როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წლიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

| გაზეთის ფასი | წლ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში და მის გარედ | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| საზღვარ გარედ | 11 მ. 50 კ. | 10 მ. 75 კ. | 10 მ. — | 9 მ. — | 8 მ. — | 7 მ. — | 6 მ. — | 5 მ. — | 4 მ. — | 3 მ. — | 2 მ. — | 1 მ. — |

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

### ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

### ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავადაზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

---

**კნეინა თამარ ალექსანდრეს ასული ვახვახოვისა შვილებითურთ და კნეინა ელენე ლევის ასული ვახვახოვისა** ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის თავზე, პირველის დაუვიწყარ შვილისა და მეორის ქმრისა

**თ-დ არჩილ დიმიტრის ძისა,**

იქნება გარდახდილი, 11 დეკემბერს დილის 10 საათზე, თელავის საკათედრო ტაძრის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წირვა, პანაშვიდი კი გარდაცვალებულის საფლავზე. 856.

---

**ქართველთა შორის წერა-კითხ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ კვირას, 9 ამა დეკემბერს, ქ. ხონში, წმ. გიორგის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საზოგადო მოღვაწის

**ივანე სიმონის ძის შარაშიძის**

სულის მოსახსენებლად. 1589

---

კვირას, 9 დეკემბერს, კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე იქნება გარდახდილი წლის თავის პანაშვიდი სტატსკი სოვეტნიკის

**ნიკოლოზ ისაკის ძის ცისკარიშვილის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **ანნა ეფრემის ასული.** პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 855

---

**სახალხო ავლაბრის სახალხო თეატრი** წარმოდგ. № 17.

**კვირას, 9 დეკემბერს,**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ძველი და ახალი თაობა** (ეხლანდელი სიყვარული), კომედია 4 მოქ. დიაჩენკოსი, თარგ. ვ. აბაშიძისა.

**2) ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ** კომ. 2 მ. გად. რ. ერისთავი ა.

**მონაწილეობას მიიღებს ავლაბრის წრის დასი.**

**დასაწყ. ხალ. 8 ს.** ადგილების ფასი 4—50 კაპ.

**მზადდება:** „რევიზორი“, „კოჩრიანი ტოროლა“ და „სამგზელოს მთავარი ლევან“.

1484 რეჟისორი **ი. ივანიძე** მორიგი გამგე **თ. ნახიძე**

---

**გამგეობა ტფილისის მომხმარებელ საზოგადოებისა**

**„მომავალი“**

ამით აუწყებს ყველა მათ წევრებს, რომ **კვირას, 9 დეკემბერს, დილის 11 ს.,** ვაგზლის იქითა საქ ლაქო სკოლის შენობაში (ბოტეს სახლი) ჩერქეზოვის ქუჩაზე დანიშნულია მეორედ წევრთა საზოგადო კრება გამგეობის ანგარიშის და მოხსენებების განსახილველად.

კრება, როგორც მეორედ მოწვეული კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს და მათი გადაწყვეტილება თანახმად § 32 ამხანაგობისა წესდების სავალდებულოა ყველა წევრთათვის. 853

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კვირას, 9 დეკემბერს,**

ქართ. დრამატ. საზოგად. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **მეორედ** ახალი ორიგინალური პიესა **ვალ. შალიკაშვილისა**

**გადაჭრილი მუხა,** 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, გოგოლაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბაშელი, ალექსიძე, გუნია, გამყრელიძე, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ყიფიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღამ. 8 საათზე.** ადგილ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ხუთშაბ., 13 დეკემ., ქ-ნ **ალ. მ. კარგარეთელის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება „ჰანრი-მეფე ნავარიისა“.

1623 რეჟისორი **ვლ. ალ.-მესხიშვილი.** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

---

**ქართული თეატრი**

**ორშაბათს, 10 დეკემბერს,**

**„ტფ. ქართულ საამხანაგო მომღერალ მგალობელთა გუნდი“.**

(დაარსებული 1912 წ.)

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით გამართავს

**ქართულ კონცერტს**

**(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად).**

გუნდი შემდგარია 40 კაცისაგან და საკუთარ ახლად შეკერილ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს როგორც საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, ისე ბ-ნ **რატილის** მიერ ჯადადებულ რამდენიმე ევროპიულ სიმღერებსაც.

**თ-დ ლუარსაბ ჯანდიერი** შეასრულებს კახურ „ურმულს“ და სხვა.

**ფასები დაკლებულია. ბილეთები იყიდება** თეატრის კასაში. დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.**

857 კონც. გამგე **ნ კავსაძე,** გუნ. მორიგი წევრ. **ნიკ. ჭრელაშვილი, ნ. ლეჟავა.**

---

**კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.**

კვირას, 9 ქრისტიშობისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქალთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ნ. კ. ჰაუსმანი წაიკითხავს ლექციას ბუნდოვან სურათებით:

**მიწის ძვრა**

**პროგრამა:** შესავალი. დედამიწის ისტორია. დედამიწის ქერქის წარმოშობა, მისი მოყვანილობა; დედამიწის ზედაპირის გულის ცვლილებანი, მიწის ძვრა და მისი ხასიათი. მიწის ძვრის გეოგრაფიული მდებარეობა. მიწის ძვრა ხეთქებით და ქანაობით. მიწის ძვრის ძალა. მიწის ძვრის შედარება ბუნების სხვა მოვლენასთან. მიწისძვრის მიზეზები. მიწისძვრის გამოსაკვლევი მეთოდები. სეისმიური სადგურები. სეისმოგრაფი. მიწისძვრის წინდაწინვე გაგება. **დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.**

ფასები 5 კ.—50 კაპეიკამდე. ბილეთები ისყიდება ყოველ დღე ზუბალაშვილის სახალხო სახლის კასაში. 850

---

**წელიწადი მეთხუთმეტე.**

**დამუნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე**

**ს ა ნ დ ო,**

**გიორგი მ. ჩივაძისა**

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

ადრესი — **ტფილისი მამია გურიელის ჩასახვევი, ფხაკაძის სახლი.**

---

**დოკტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულიოზ**

ცინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

---

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება საყმაწვილო წიგნები.**

| | |
|---|---|
| ამოდის ნათდება. ვაჟასი | 15 კ. |
| ბუს თავ-გადასავალი, სურათებით | 30 „ |
| კეთილი ძაღლი | 20 „ |
| ლაზარილიო | 10 „ |
| ლომ-კაცი გ. წერეთლისა | 25 „ |
| მეფე ლამზა | 7 „ |
| მურია. თ. რაზიკაშვილი | 5 „ |
| მტრედი. შმიდტისა | 10 „ |
| ნახატებიანი საყმაწვილო მოთხრობანი | 30 „ |
| პაწია და ბუნგლია | 25 „ |
| პატარა ჩონგური | 5 „ |
| რობინზონ კრუზო | 30 „ |
| სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟასი | 15 „ |
| სამი ცელქი შ. მღვიმელისა | 15 „ |
| ძუნწი და ნატვრა, მისივე | 10 „ |
| ხუმარა სპილოები დასურათებული | 20 „ |
| სამშობლოს ბუნების სარკეში | 40 „ |
| სამი მოთხრობა ს. ყიფიანისა | 5 „ |
| სვიის გვირგვინი შმიდტისა | 15 „ |
| ღვთის წყალობა გ. წერეთლისა | 20 „ |
| უცნაური თაიგული (8 არაკი) | 10 „ |
| ორი მხატვარი, მოთხრობა ნაკადულის გამოცემა | 15 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

---

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იალონებლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

---

**ხეხილის ბაღები**

**ქართლის საუფლისწულო მამულისა,**

სივრცით ორმოც დღიურამდე, **საუკეთესო ზამთრის ჯიშის მსხალი და ვაშლებისა,** რვა ვერსის მოშორებით სადგურ ქსნიდან, ამიერ კავკ სიის რკინის გზისა, და ორმოც ვერსზე ქალაქ ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზითა

**იჯარით უნდა გაიცეს**

სამის წლის ვადით, 18 ქრისტეშობისთვესა ამა წლისა, დილის 12 საათზე, ხსენებულ მამულის კანტორაში, სოფელ მუხრანში. სტანცია ქსანკა, ამ. ვ. რ. გ.

ცნობების მიღება შეიძლება ამ მისამართით: **სადგური ქსანკა, ამ. ვ. რ. გ.** 842

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1018

---

**ნაფიც-ვექილ. თანაშ.**

**გიორგი პავლეს ძე**

**გორდეზიანი**

**გადავიდა** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ძმანიშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა
და მეტეხის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მშრომელთა ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მალალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1 |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.<br>ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½. |
| ქალთა და [illegible] სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ხულბკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | ზედგენიშვილი შ. ა. (შაბათობით) 10½—11.<br>დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½<br>ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,606 " 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი ფასებით. ¶. 1010

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ს. ი. გძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე. საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი სრამელაშვილისა. 1411

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

# ტფილისი, 8 დეკემბერი

**კოკოვცევის დეკლარაცია.** ყოველთვის, როდესაც კი მთავრობას მოაგონებდნენ, რომ დროა 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებულ თავისუფლებათა განხორციელებაო, მთავრობის წარმომადგენელნი აცხადებდნენ, ჯერ რუსეთი უნდა დამშვიდდეს და მერე რეფორმები შემოვიღოთო. ეს იყო ერთად ერთი საჯაროდ გამოთქმული მიზეზი რეფორმათა დაბრკოლებისა. კოკოვცევი დღეს ძველებურ კილოზე აღარ ლაპარაკობს. იგი აცხადებს არა მარტო იმას, რუსეთი დამშვიდდაო, არამედ შესაძლებლადაც ჰხედავს მანიფესტით აღთქმულ თავისუფლებათა განსახორციელებლად „ახალი გზები" გამოძებნოს, თვალსაჩინო და საყურადღებო განცხადებაა, რომ მას მარტო ცარიელ განცხადების ხასიათი არა ჰქონდეს.

თუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესაც კი შესაძლებლად მიაჩნია დანაპირებ თავისუფლებათა განხორციელება, უეჭველია, თვით დეკლარაციაში აღნიშნული უნდა იყოს ეს სამოქმედო პროგრამის სახით. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. დეკლარაციაში მანიფესტით აღთქმულ თავისუფლებათა შესახებ გაკვრით არის ლაპარაკი, შედარებით წვრილმან საკითხებზე კი, რომელთა გადაწყვეტაც რუსეთის უფლობრივ მდგომარეობას არაფერს შეჰმატებს, ბევრი რამ არის ნათქვამი. კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას. პრემიერ-მინისტრი კოკოვცევი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეოთხე სათათბირომ მესამე სათათბიროს გზით უნდა იაროსო. სხვანაირად ეს აი რასა ჰნიშნავს: რაც შეიძლება ნაკლებ ილაპარაკეთ ისეთს საკითხებზე, რომელნიც რუსეთის უფლებრივ მდგომარეობას შეეხება, და რაც შეიძლება მეტი დრო მოანდომეთ წვრილმან მიმდინარე საკითხებს, რომელთაც არავითარი ცვლილება არ შეაქვთ მთავრობის მიერ ერთხელ არჩეულ პოლიტიკაში. ასეთი უნდა იყოს, კოკოვცევის აზრით, მეოთხე სათათბირო. ამის მიხედვითაცაა შედგენილი მთავრობის მომავალ მოქმედების გეგმა.

თუ კოკოვცევის განცხადებას დაუპირისპირებთ რუსეთის საზოგადოების ზომიერ ნაწილის სურვილებსაც კი, დიდს განსხვავებას დაინახავთ. ოქტომბრისტთა პარტიამ საზოგადოებაში ნდობა დაჰკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პარტია ყოველთვის ორჭოფულ პოზიციაზე იდგა და ივიწყებდა იმ თავისუფლებათა განხორციელებას, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტში იყო აღნიშნული. გუჩკოვისა, ანრეპისა და ლერხეს გაშავება საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ოქტომბრისტების ორჭოფულ ტაქტიკისა. ამ სულიერმა განწყობილებამ იმოქმედა თავმჯდომარედ არჩეულ როძიანკოზედაც კი, რომელმაც განაცხადა, მეოთხე სათათბიროს უპირველესი მიზანი უნდა იყოს განხორციელება 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულ რეფორმებისაო. კადეტთა ტაქტიკა, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ, მიმართულია იქითკენ, რომ წინ წამოაყენონ კანონ-პროექტები თავისუფლებათა შესახებ. ყველა იმის შემდეგ რაც ითქვა, ერთის მხრით, როძიანკოსი და, მეორის მხრით, კოკოვცევისა, კადეტების მიერ აღძრულ საკითხებს სულ სხვანაირად უნდა შეჰხვდეს სათათბიროს ცენტრი.

სახელმწიფო სათათბიროში ერთმანეთს დაუპირისპირდება ორ გვარი ტენდენცია: ტენდენცია ძირითად რეფორმების მიჩქმალვისა და წინ წამოყენებისა. თუ გულ-წრფელი იყვნენ როძიანკო და კოკოვცევი, როდესაც ამბობდნენ, შეიძლება მანიფესტით დაპირებულ რეფორმათა განხორციელებაო, კადეტთა განზრახვასაც სულ სხვანაირად უნდა შეხედონ და ერთხელაც არის დასძრან ერთის ადგილიდან გაყინული რეფორმები.

მომავალი გვიყენებს, შეუძლიან თუ არა მეოთხე სათათბიროს საკონსტიტუციო მუშაობა და განახორციელებს თუ არა იმას, რაც აქამდისაც განხორციელებული უნდა ყოფილიყო.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

(დასასრული *)

არსებითად შეიცვლება გამიჯვნის კანონმდებლობა, რისთვისაც მთავრობას სრულიად დამზადებული აქვს პროექტი. სისხლის სამართლის დარგიც განიცდის რამდენიმე ძირითად ცვლილებას: კატორღის რეორგანიზაცია—რაც კატორღელს ყველის გასვლის შემდეგ ანიჭებს თავისუფლებას და არა სტოვებს ციმბირში, როგორც ეხლა არის, გარდა ამისა დამზადებულია მთელი რიგი კანონპროექტთა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის გასაუმჯობესებლად და მის მსვლელობის დასაჩქარებლად. ამათში ყველაზე თვალსაჩინო არის დაცვის სასამართლოს დებულებათა პროექტი და სამოქალაქო სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანი წესები. დასასრულ, მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება მალე განახორციელოს 15 ივნისის 1912 წლის ადგილობრივ სასამართლოს კანონი.

მეხუთე, სახალხო განათლების დარგში მთავრობამ მესამე სათათბიროში შეიტანა სამრევლო სკოლების მასწავლებლებთა კორპორაციის უზრუნველ ყოფის კანონპროექტი. მთავრობას სასურველად მიაჩნია მეოთხე სათათბირო შეუდგეს ამ კანონპროექტების განხილვას. ეს ზომა სხვა საკანონმდებლო მოსაზრებასთან ერთად, რომელსაც მხედველობაში აქვს სასულიერო სასწავლებელთა დებულების გადათვალიერება და საფუძვლიანი შეცვლა ეკლესიის მოძღვართა განათლებას მისცემს საქმეს იმ შეურყეველ საფუძველს, მოსამზადებლად, რომელიც დამკვიორებული იქნება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ზნეობაზე, სამშობლოს და მეფის ერთგულებაზე. ამ მიზნის მისაღწევად სრულის თანხმობით და ერთსულოვნებით ჰმოქმედობდა სახალხო განათლების მინისტრი და სასულიერო უწყება. სახალხო განათლების სამინისტრო ზრუნავს დაარსოს და განავითაროს დაწესებულებანი, რაიც ხელს უწყობენ ხალხის განათლებისა და განვითარების მიღებას სკოლის გარეშე. დაბალ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი ნაკლებია ამის გამო სამინისტრო შესაფერ კანონ-პროექტს ადგენს. საჭიროა მოსწავლეთა ინსპექციის გაფართოვება, დაარსება სამოსწავლო ახალ ოლქებისა, როგორც ევროპის რუსეთში, აგრეთვე განაპირა ქვეყნებშიაც.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლის დარგში მთავრობა შეუდგა საუნივერსიტეტო წესდებულების გადათვალიერებას და საშუალო სასწავლებლისთვის ახალ წესდებულების შედგენას. პროფესორთა ძალების ნაკლებმა რიცხვმა აიძულა მთავრობა მიეღო ზომები უმაღლეს სასწავლებლებისთვის პროფესორების მოსამზადებლად საერთო განათლებასთან ერთად, მთავრობა სცდილობს გაავრცელოს და განავითაროს ხალხში ყოველნაირი სპეციალური სასწავლებელი. სახალხო განათლების სამინისტრო აარსებს დაბალ სასწავლებლებში სახელოსნო განყოფილებებს; მიწათ-მომწყობის მთავარი გამგეობა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ადგენენ კანონ-პროექტებს სამეურნეო, საკომერციო, სახელოსნო, სამთო, საზღვაო და საგიდროტეხნიკო სასწავლებლების გასავრცელებლად. მთავრობას მხედველობაში აქვს გაჰხსნას საპოლიტეხნიკო ინსტიტუტები სამარაში და ეკატერინობურგში, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დასავლეთ ციმბირში; გაიხსნება აგრეთვე რამდენიმე სატყეო განყოფილება ზოგიერთ სასწავლებლებში. დასასრულ თანდათან მუშავდება პროექტი დონის-როსტოვში სამედიცინო ინსტიტუტის გახსნის და კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა.

მეექვსე: სახელმწიფოს ცხოვრების ერთი უსაჭიროესი და უძნელესი მოთხოვნილება არის ხალხის მეურნეობის წარმატება. ნატურალურ მეურნეობის შეცვლა ფულის მეურნეობაზე და აგრეთვე ხალხის მეურნეობის დამოკიდებულება არა მარტო ადგილობრივ პირობებზე, არამედ მთელ ქვეყნიერობის ბაზარზე, გვიკარნახებს მთავრობას შეუმსუბუქოთ ხალხის შრომას, რის მეოხებითაც შეიძლება უზრუნველ ვყოთ ბრწყინვალე მომავალი ჩვენი სამშობლოსი. რუსეთი წარმოადგენს ბუნებით უმდიდრეს ქვეყანას მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხს არა მარტო ბუნებით სარგებლობაში, არამედ ამ ბუნების ხელოვნურად გაძლიერებაშიც. ეს დახმარება მოსარჩლეობის პოლიტიკად კი არ გამოიხატება, გამოიხატება ხალხის მეურნეობის დარგის განვითარებად და გაფართოვებად სასოფლო მეურნეობა არის სფერო ხალხის უმრავლესობის მუშაობისა. კანონმდებლობა უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება სრულიად და კარგად მოაწყოს მეურნეობის საქმე. მთავრობას ღრმადა სწამს, რომ სასოფლო მეურნეობა მხოლოდ მაშინ იდგება შესაფერ სიმაღლეზე, როცა მიწათ-მოწყობის საქმე მოეწყობა კერძო საკუთრების პრინციპზე. ამ საქმის დაწყებას ეკუთვნის 1910 და 1911 წლ. კანონები. ეხლა ჩვენ გვიხდება ვიაროთ ამაზე წინ. კერძო საკუთრების პრინციპის განსახორციელებლად მთავრობა სცდილობს მთელ იმპერიაში გაავრცელოს მიწის მომწყობი კანონები. ამასთანავე მთავრობა მუშაობს იმ კანონ-პროექტთა შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუშლის მიწის პატარა ნაჭრების დაკნინებას და დანაწილებას, მთავრობას უკვე შეტანილი აქვს საკანონმდებლო დაწესებულებაში კანონპროექტები: ციმბირის გლეხთა და უცხო ტომთა მიწის მოწყობისა და ამიერ-კავკასიის გლეხებსა და მემამულეთა შორის სავალდებულო ურთიერთობის ლიკვიდაციისა. მთავრობა არ დააგვიანებს მოაყოლოს ამ კანონ-პროექტებს შემდეგი მოსაზრებანი — მიეცეს გლეხებს მიწები კერძო საკუთრებად. ზოგიერთ ადგილებში მიწის სივიწროვე აიძულებს მკვიდრ მცხოვრებთ ეძებონ საცხოვრებელი ალაგი დაუსახლებელ მიწაზე. მთავრობა ამ ბუნებრივ მისწრაფებაში ჰხედავს ერთ უძლიერეს იარაღს განაპირა ქვეყნების დასასახლებლად და მათ ინტერესების დაკავშირებას რუსეთის საერთო ინტერესებთან. განაპირა ქვეყნები ერევიან იმპერიის საერთო ცხოვრებაში. მთავრობა უსაჭიროესად სთვლის გადასახლების საქმე კარგად მოაწყოს და შესაფერად გამოიყენოს ის ბუნებრივი სიმდიდრე, რაიც განაპირა ქვეყნებში არის ჩამარხული. ამის გამო მთავრობას შეაქვს სახელ. სათათბიროში კანონ-პროექტი, რის ძალითაც კერძო თაოსნობას სრული უფლება ენიჭება ისარგებლოს სახელმწიფო მიწებით, რომელიც სრულიად დაუმუშავებელი არ არის. განაპირა ქვეყნებში შემჩნეულია უცხო ტომთა დიდი რიცხვი. რათა განაპირა ქვეყნებში შეიზღუდოს უცხო ტომთა შემოსევისაგან მთავრობამ დაადგინა შეამციროს შემოსვლა შორეულ აღმოსავლეთში და მოუსპოს უცხოელებს მურმანზე უპირატესობანი. ვაჭრობა-მრეწველობის მოქმედების განვითარება, რომელიც სულ წინ ილტვის, იზიდავს უფრო და უფრო მეტ მუშა ხელს და კაპიტალსა. მთავრობისა გამოითხოვს უფრო ნაკლებ ყურადღებას, ვიდრე სახალხო მეურნეობა. მთავრობა ემხრობა საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის პრინციპს: მოსარჩლების პოლიტიკას რომელიც სრულიად ეთანხმება. ქვეყნის მოთხოვნილებას აგრეთვე შეუდგა მთავრობა საბაჟო ტარიფების გადათვალიერებას და სავაჭრო ახალ ხელშეკრულების დადებას რაც შეეხება სახელმწიფოს შინაურ ვაჭრობა-მრეწველობის კანონმდებლობას, მთავრობის მთავარი მიზანია ამ საქმეში კერძო თაოსნობას ფართო თავისუფლება უნდა მიეცეს. ამისთვის მთავრობა უნდა სცდილობდეს შექმნას ისეთი კანონ-პროექტები, რომელნიც მოაცილებენ კერძო ინიციატივის განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზებს. ეხლანდელი კანონები კი სწორედ ამ მხრივ ფრიად მოიძველებენ მათ გასაახლებლად, თანახმად ცხოვრების მოთხოვნილებისა შემუშავდა რამდენიმე კანონ-პროექტი სააქციონერო საქმეების მოწყობისა, სავაჭრო-სამრეწველო პალატის სავაჭრო რეგისტრაციის დაარსებისა და სხვ. ამავ მიზნის მისაღწევად არის მიმართული სათათბიროში შეტანის კანონპროექტი ქარხნების და ფაბრიკების გახსნას რომ ადვილებენ.

ამავე მიზანს ეკუთვნის რუსეთის ვაჭრობის ერთი უმთავრესი და უდიდესი დარგის, პურის ვაჭრობის მოწესრიგება. მთავრობას უნდა რაც შეიძლება ჩქარა მოწეს-რიგდეს და დაარსდეს ქსელი ელევატორებისა და ხორბლეულობისა რაც უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს. მთავრობას ესმის, რომ ამ დარგში შეჭრა სახელმწიფოსი, სხვაზე დამოუკიდებლივ ვნების მეტს არაფერს მოიტანდა. კანონმდებლობა აქაც უნდა დაჰმყარებოდეს მოსარჩლეობის და წამქეზებელ პოლიტიკის წარმატებასო. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ერთი ფრიად შესანიშნავი მოვლენა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ცხოვრებაში. უეჭველია ჩვენი მრეწველობა მომზადებულად და განვითარებულად ვერ დაუხვდა იმ ეკონომიურ ზრდას და წარმატებას, რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში რუსეთმა განიცადა ჩვენი ქვის ნახშირის და რკინეულობის მრეწველობა სრულიად ვერ აკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც არდგენენ კერძო პირთა თაოსნობით. ამას აუცილებელ შედეგად მოჰყვა ის რომ, საზღვარ გარეთიდან შემოაქვთ ისეთი მასალა, რომლის ადგილობრივ დამზადება რუსეთში ფრიად ადვილია. საზღვარგარეთიდან შემოტანა დღითი-დღე მატულობს და იზრდება. სრულიად მეტია იმის თაობაზე ლაპარაკი, თუ რამდენად არ არის სასურველი რუსეთის მრეწველობისთვის ეს მოვლენა ამ მიზნის მისაღწევად უნდა გაფართოვდეს არსებული წარმოებანი და ხელი შეუწყოს ახალ მრეწველობათა წარმოშობას და მათ შორის თავისუფალ და საღ მოქიშპეობას. მთავრობაც შეეცდება ამ მხრივ ყოველივე მოსალოდნელი დაბრკოლებანი და სიძნელე მოსპოს. მთავრობა კვლავინდებურად განაგრძობს სამშობლო ქვეყნის მრეწველობაში მომუშავე ხალხის ინტერესთა დაცვას. მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება 1912 წ. 23 ივნისს გამოცემულ კანონით, რომელიც ეხება მუშათა დაზღვევას უბედურ შემთხვევისა და ავადმყოფობისაგან და აგრეთვე დამზღვევ სამმართველოსა და საბჭოს დაარსებას. ამ კანონის განხორციელება მახლობელ დროისათვის არის გადაწყვეტილი. ამასთანავე, დასავლეთ ევროპის მიხედვით, ჩვენც განზრახული გვაქვს დაარსება განსაკუთრებულ სასამართლოსი, რომელიც გაარჩევს დამზღვევ საზოგადოებისა და დაზღვეულთა შორის ატეხილ დავას უბედურ შემთხვევისაგან დაშავებულ მუშათა ახალ კანონის მიხედვით დაკმაყოფილების თაობაზე.

ამასთანავე მთავრობა მახლობელ საქმედ მიაჩნია მოაწესრიგოს მუშათა მდგომარეობა სამუშაო დღის შემცირებით ქალებისა და ბავშვებისათვის. მთავრობა შესცვლის აგრეთვე სამრეწველო დებულებათა დამსჯელ კანონს და მუშათა მიმართ ანგარიშით ჩადენილ დანაშაულისათვის მრეწველებს სასჯელს გაუდიდებს.

მეურნეობის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა, ცხადია, სესხი და მიმოსვლაა სესხის საქმე მოითხოვს არსებულ კანონების ძირითადს გადაშინჯვას: ცხოვრებამ ბევრად წინ გაუსწრო არსებულ სესხის დებულებათა ფარგალს. ამისათვის საკანონმდებლო დაწესებულებათ წარედგინება კანონ-პროექტები საურთიერთო ნდობისა, ქალაქებისა, საზოგადოებათა და საბანკო დაწესებულებათა წესდების ცვლილებისა; აგრეთვე პროექტები, რომელიც მოაწესრიგებს საკომერციო და საადგილმამულო ლომბარდების საქმეს. ამის და დამოუკიდებლად მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამეურნეო სესხის მოწყობაზე. ნაკლებ სარგებლიან სესხის უქონლობა აფერხებს სოფლად სამეურნეო კულტურას. ამისათვის განზრახულია ამ დარგის კანონდებულებათა არსებითი შეთანხმება თანამედროვე სახალხო წვრილ სესხის საქმესთან. არსებულ მდგომარეობაშიაც ამ საქმემ საკმაო დამადასტურებელი საბუთები მოგვცა ასეთ დაწესებულებათა სარგებლიანობისა, ამის გამო მახლობელ საკანონმდებლო მუშაობაში სახალხო მეურნეობის ამ დარგსაც თვალსაჩინო ადგილი დაეუთმოთ.

მიმოსვლის საქმეში განზრახულია გაუმჯობესება ნავოსნობისა (ზღვაზე თუ მდინარეებზე) პორტების აგებასა, და გარეშე ზღვებზე საადებმიცემო ნავოსნობის ხელის შეწყობა რუსეთის ბაირაღის მფარველობით. ამ უკანასკნელ საქმის განსახორციელებლად სათათბიროს წარედგინება, 21 მაისს უმაღლესად მოწონებული პროექტი, რომლითაც სამშობლო ქვეყანაში არსებულ გემთა საამშენებლოებს ეძლევათ მთავრობის ჯილდო, ასეთივე ჯილდო უნდა ეძლეოდეთ საადებმიცემო ნავოსნობის მომწყობთაც. საზოგადო დებულებანი საერთოდ ნავოსნობაზე წარსულ სესიაში წარედგინა სათათბიროს.

სარკინისგზო საქმის გასაფართოვებლად ხაზინის ხარჯით განზრახულია საულელტეხილო გზის გაყვანა კავკასიაში, კიახტინის ლიანდაგის დაგება და ხარკო-ხერსონის რკინის გზის გაყვანა.

როგორც მოგეხსენებათ ხაზინის ხარჯით ამ ბოლო დროს გაგვყავს ამურის რკინის გზა, რომელიც 1915 წელს თუ არა 1916 წელს მაინც დასრულდება, ხოლო დროებითი მიმოსვლა კი ამ გზის დასავლეთ და შუა ნაწილში ბლაგოვეშჩენსკამდე, მდ. ზეიზე დასამთავრებელ ზოგიერთ დიდ ხიდის გარდა, დაიწყება მომავალ წლიდან. ამ გზის გაყვანამ თვალსაჩინო [illegible] და ამ ბოლო წლებში კერძო საზოგადოებათა თაოსნობით გზების გაყვანამ აფიქრებინა მთავრობას, ხელი შეუწყოს სარკინისგზო საქმეში კერძო თაოსნობას. ასეთ თაოსნობის კარგი მნიშვნელობა ორკეცდება იმითაც რომ რკინის გზებზე მატულობს როგორც ხალხის მიმოსვლა, ისე ბარგისა და საქონლის გადატან-გადმოტანა. ეს კი თავის მხრივ იწვევს არსებულ ლიანდაგებზე მიმოსვლის გაძნელებას. საამისო წესების შემუშავება მთავრობას მხედველობაში აქვს. ეს ზომებიც განიხილება მაშინ, როდესაც რუსეთის სარკინისგზო დებულებათა გადაშინჯვა და ახალ წესდების გამოცემა მოხდება.

**მეშვიდე.** უკანასკნელი საკითხი, რაზედაც საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება შევაჩერო, გახლავთ ის საქმე, რომელიც, დარწმუნებული გახლავართ, ყველა ჩვენთაგანისათვის ძვირფასი რამ არის. მე მოგახსენებთ სახელმწიფოს თავმჯდომარეზე. თქვენმა წინამადგილემ, მესამე სათათბირომ, მეფისა და ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობას სრულის შეგნებით ღირსეული და უპირველესი ადგილი დაუთმეს ამ საკითხს. მესამე სათათბიროს არამც თუ უარი არ უთქვამს მთავრობისათვის, არამედ არც კი შეყოყმანებულა ჩვენ სამხედრო ძალთა გასაძლიერებლად, თანამედროვე მოთხოვნილებათამებრ მათ გასაუმჯობესებლად, ფულის გადადების დროს, იმ ძალთა, რომელსაც წარსულმა ომმა მძიმე განსაცდელი არგუნა. ხუთის წლის მუშაობის დასასრულს მესამე სათათბირომ მოიწონა მთავრობის კანონ-პროექტი სამხედრო ფლოტის განახლებისა. მთავრობა იმოდევნებს, მეტსაც ვიტყვი, მთავრობა დარწმუნებულია რომ მეოთხე სათათბიროც ასევე მოიქცევა ამ საკითხთა განხილვის დროს, იმ ფართე უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს სათათბიროს მისის დაარსებით. უმაღლეს სურვილის აღსასრულებლად, მთავრობა წარუდგენს სათათბიროს ყოველიფერს, რაც კი თქვენს განხილვას ექვემდებარება და რასაც არსებულ მდგომარეობის მიხედვით საჭიროა ჩვენი შეიარაღებულ ძალის მოსაწესრიგებლად, რადგანაც დარწმუნებულია რომ ყველა თქვენთაგანი, თუ არა დიდი უმრავლესობა მაინც გულმოდგინე თანაგრძნობით მოეკიდება ამ პირველ ხარისხოვან საქმის განხორციელებას. მთავრობა დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ჩვენ, გაერთიანებულის ძალით შევძლებთ ამ საქმეს დაუკავშიროთ სხვა კულტურული განვითარებაც ჩვენი სამშობლოსი და ამასთანავე შევინარჩუნოთ სახელმწიფოსათვის ეგოდენ საჭირო ფინანსების სიმკვიდრე.

ამ უკანასკნელ მიზნის მისაღწევად, მთავრობა თქვენს ყურადღებას მიაქცევს სათათბიროში უკვე შემოტანილ კანონ-პროექტს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვისას, რომელიც ვარაუდით 3,208 მილიონ მანეთს უდრის. მთავრობას ეჭვი არა აქვს, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს სათათბირო მოახმარებს განსაკუთრებულ შრომას და ხელს შეუწყობს, მის სწრაფ განხორციელებას, რამდენადაც ეს სათათბიროზეა დამოკიდებული. მთავრობას ამასთანავე უადგილოდ არ მიაჩნია გაგიმეოროთ, რომ ხარჯთ-აღრიცხვის შეწონილობაზეა დამყარებული ფინანსიურ მდგომარეობის და სესხის სიმკვიდრე, რომელზედაც ემყარება საგარეო პოლიტიკა და საშინაო კეთილდღეობა. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყოველი ცდა.

სახელმწიფოს მრავალნაირი მოთხოვნილებანი ამ ბოლო დროს ძალიან გაიზარდა და გართულდა. სრულის კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელშემწყობ პირობების წყალობით სახელმწიფოს შემოსავალმა შეგვაძლებინა ჩვენი ცხოვრების მრავალი მოთხოვნილებანი დაგვაკმაყოფილებინა. მომავალ წლის ხარჯში თვალსაჩინოდ გადიდებულია ჩვენი ცხოვრება და მეურნეობის საარსებო დარგთა გასაუმჯობესებელ საქმეებზე გადადებული თანხა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრი მათგანი ჯერ ვერ დავიკმაყოფილებია. და თავის ჯერს ელის ამისათვის. მთავრობა დიდ მნიშვნელობას აწერს მათ დროიანად განხილვას, ან, თუ სავანგებო რამ მიზეზი გაჩნდა, სწრაფად განხილვას სახელ-

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 766.

მწიფოს რესსურსებისას. მთავრობა მოვალეა მხარი დაუჭიროს სათათბიროში შეტანილ კანონ-პროექტებს, რომელნიც ხარჯის გაწერის ახალს წესებს ადგენენ. ეს საფინანსო პოლიტიკა მიგვაჩნია გონივრულ და სწორე პოლიტიკად, მით უმეტეს, რომ კანონ-პროექტები არა მარტო სახელმწიფოს შემოსავალს ამრავლებს, არამედ ხარჯის გაწევაში ერთნაირ უღელს ადგამს, როგორც შეძლებულს და შეუძლებელს კლასს.

მეორე: სახელმწიფოს დაცვის მნიშვნელობაზე გამოთქმული მოსაზრება მაიძულებს, რამდენიმე სიტყვით შევეხო იმ საკითხს, არც ასე ძალიან გაღელვებთ როგორც თქვენ, აგრეთვე მთელ რუსეთს. (დარბაზში მოძრაობა). თქვენი გულისყური მიჯაჭვულია იმ ამბებთან, რაც ასე მქუხარედ, ასე მღელვარედ გადაიშალა თქვენს თვალწინ, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. თქვენი გულისყური იმ ქვეყნისკენ არის მიმართული, რომელიც, ესე ჩვენის სისხლით არის გაპოხიერებული (ყველა სკამზე მოძრაობა). ბალკანეთის სახელმწიფოების უმაგალითო გმირობამ და იშვიათმა ერთ სულოვნებამ თანაგრძნობით აუტოკა ყველა რუს გული (ხმები: „ვაშა“. ცენტრის, ნაციონალისტების და ოპოზიციის ნაწილის ხანგრძლივი ტაშის-ცემაა).

როგორც დიდებულ სლავიანურ და მართმადიდებელ სახელმწიფოს, რუსეთს არ შეუძლიან გულგრილად უყუროს თვისტომს და ერთმორწმუნე სლავიანებსა რომლისთვისაც ძვირფასი მსხვერპლი მიუტანია; რუსეთი ცდება ხელი შეუწყოს სლავიანებს ცხოვრების იმ პირობათა მოსაპოვებლად, რომელიც სრულიად უნდა ეთანხმებოდნენ მათ მიერ შეწირულ მსხვერპლს. რუსეთი ხელს შეუწყობს მათ ცხოვრების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მათი მშვიდობიან ცხოვრების განსავითარებლად და აცილებას თავიდან იმ გართულების, რაიც ევროპის მშვიდობიანობას მუდამ შიშსა ჰგვრის.

გვახსოვს რა ჩვენი ისტორიის საუკეთესო მცნებანი, მთავრობა საზოგადოებრივ აზრთან ერთად მჭიდრო დაკავშირებული პირველ ყოვლისა სდგას რუსეთის ინტერესების დასაცავად. ამ ინტერესების დაცვა მთავრობის წმინდა მოვალეობას შეადგენს და ფრიად მძიმე პასუხის გებას ადებს კისრად. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მთავრობა არაფერმა აიძულა შეეცვალა ერთხელ დაჭერილი პოზიცია. მთავრობა მუდამ გულ მშვიდად რჩებოდა, მაშინ როცა მის გარშემო მღელვარება, ჩოჩქოლი და ზარი იყო. იგი არავის არ აძლევდა საბუთს, ეჭვი შემოეტანათ ჩვენ გულწრფელობაში და უანგარობაში. მთავრობა მიზნად არ იხატავდა უთანხმოების გართულებას და გაზვიადებას, მისი ერთად-ერთი მიზანი იყო და არის—ფხიზელ დარაჯად იდგეს თავის სახელმწიფოს ღირსების და მის ისტორიულ უფლებათა დასაცავად. ნაადრევი იქნება გადაწყვეტით ითქვას—როგორ გადასწყდება ესა თუ ის საკითხი, ბალკანეთის საერთო საკითხიდან რომ გამომდინარეობს. ძირითადი დებულებანი, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ არის—ისტორიული წარსული რუსეთისა და ეხლანდელი პოლიტიკური გარემოება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გამარჯვების თავდებად ჩაითვლება გონივრულ პოლიტიკის უმთავრესი წესის დაცვა: ფაქტიურად მისაწვდომისკენ ისწრაფის, გარნა ნუ მიეცემი გრძნობის გატაცებას. თუმცა ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მოკავშირე სახელმწიფონი მეგობრულად დაგვეხმარებიან, მაგრამ მაინც საჭიროდ არ მიგვაჩნია ერთი ჯგუფი სახელმწიფოებისა ვამჯობინოთ მეორეს. ყოველი სახელმწიფო, რომელნიც კი ჩამოსცილდება საერთო თათბირის ნიადაგს და პირველ რიგზე წამოაყენებს თავის დამოუკიდებელ და მით უფრო მეტი, თავის მეორე ხარისხოვან ინტერესებს, თავს იდებს ფრიად მძიმე და ძნელ პასუხისგებას საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევის წინაშე.

დიდ სახელმწიფოებს ფრიად საკმარისი და ღრმა მოსაზრებანი აქვთ, რათა ხელი შეუშალოს ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას და განხეთქილების გამწვავებას.

რუსეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ საზოგადოება დაეხმარება იმ საშუალების პოვნაში, რომლის მეოხებითაც შეიძლება ყოველი მწვავე საკითხი მშვიდობიანის გზით გადასწყდეს. მის გამო მთავრობა სიამოვნებით ეგებება ინგლისის სახელმწიფოს სურვილს მოახდინოს განხეთქილების ჩასაქრობად და სადავო საკითხების გამოსარკვევად ელჩთა საერთო კონფერენცია. ის საერთო თანაგრძნობა, რაიც ინგლისის სახელმწიფოს წინადადებამ გამოიწვია ევროპაში იმედს გვაძლევს საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისას. რუსეთის მთავრობას ღრმადა სწამს, რომ მისი ცდა ღვთის შეწევნით უნაყოფოდ არ ჩაივლის და მომავალი ისტორიული მოვლენანი ხელს არ შეახებენ. რუსეთის სიკვდილ-სიცოცხლის ინტერესებს, რომლის დასაცავადაც ვართ ჩვენ მოწოდებულნი.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამ, მინდა ვსთქვა. დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხე სათათბირო არ შეუდგება კანონ-პროექტების განხილვას არტიულის წინასწარ-განზრახვითი თვალსაზრისით ყველანი ერთნაირად იმუშავებენ ჩვენთვის და ჩვენი ძვირფას სამშობლოს საკეთილდღეოდ. ბ-ნებო! ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების მოთხოვნილებანი უთვალავი არის, საკანონმდებლო მუშაობა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ცხოვრების შეკითხვაზე პასუხის გასაცემათ ფრიად განუზომელია; შესაძლებელია შრომა, მუშაობა მაშინ დასძლიოთ, როცა თქვენ მას შეუდგებით არა პარტიათა მოთხოვნილების თვალსაზრისით, არამედ ნათელის შეგნებით იმისა, რომ თქვენ წინ გადაშლილია ვრცელი რუსეთი აუარებელ და დამაკმაყოფილებელ მოთხოვნილებებით, რომ ჩვენი ყველასთვის ერთიანი სამშობლო და მისი უმაღლესი გამგე ხელმწიფე იმპერატორი მოელიან თქვენგან მშვიდობიან და ნაყოფიერ შრომას. ჩემის მხრივ, ვაცხადებ, რომ მთავრობა მზად არის საკანონმდებლო დაწესებულებებთან მეგობრულის კავშირით განახორციელოს კანონით ქვეყნისთვის დანაპირები და აღთქმული.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა გაგრძელდა ერთ საათსა და 10 წუთსა. მისი სიტყვა ხშირად შესწყდებოდა ხოლმე „ვაშას“ ძახილით ხანგრძლივი ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ ხოლმე კოკოვცევს ცენტრულები, ნაციონალისტები და ოპოზიციის ნაწილი. როცა კოკოვცევმა განუზიარა სათათბიროს მთავრობის შეხედულება საერთაშორისო კრიზისზე მთელ დარბაზში საერთო მოძრაობა მოხდა. მთელი ეს ალაგი სათათბირომ სამარისებურის სიჩუმით მოისმინა. სიტყვის გათავებისას ხელმეორედ გაისმა დარბაზში ცენტრულების და ნაციონალისტების ტაშის გრიალი.

კენჭის ყრით სათათბირომ დაადგინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადების განხილვა გადაიდოს შემდეგის სხდომისთვის. სხდომა გადაიდო პარასკევისთვის. შემდეგი სხდომა 7 დეკემბერს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **კახეთის რკინის გზის შესახებ კერძო კრება,** რომელიც დაიშნული იყო ხუთშაბათს, 6 დეკემბრისათვის, მოხდება ხვალ, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

◆ **გლეხთა დროებით ვალდებულება.** სახელმწიფო საბჭოს საფინანსო და საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიები კავკასიის გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის პროექტის განხილვას შეუდგა. არის იმედი, რომ პროექტი მოწონებულ იქმნება სათათბიროს რედაქციის მიერ და კანონი ძალაში შევა 1 იანვრიდან.

◆ **სტატსკი სოვეტნიკობა ებოძათ** ტფ. გუბერნატორს ა. გ. ჩერნიავსკის და განჯისას—ა. ს. კოვალევსა.

◆ **დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა ებოძა** ტფ. საგლეხო საგუბერნიო საკრებულოს წევრს—საქმის უწარმოებელს თავ. ი. დ. აფხაზს.

◆ **თავად-აზნაურთა არჩევნები,** რომელიც 23 დეკემბერს უნდა მომხდარიყო, გადადებულ იქმნა 13 იანვრისთვის.

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას** აზრადა აქვს, თავისი შენობა (ბარიათინის ქუჩაზე) გააფართოვოს: აპირობს, შენობას მეორე სართული დაადგას. ხარჯების ერთის ნაწილის დასაფარავად საზოგადოება მიწათმოქმედების დეპარტამენტისაგან 20,000 მან. თხოულობს.

◆ **ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სტიპენდიები.** ვისაც წ.-კითხვის საზოგადოებისგან ზუბალაშვილისა (3) და ლოლობერიძის (1) სახელობის სტიპენდია სურს, წ.-კითხვის საზოგადოებაში თხოვნა უნდა შეიტანოს 10 დეკემბრამდე.

◆ **ტფ. პოლიცმეისტერს პოლკოვნიკს ზასიპკინს** გენერალ-მაიორობა მისცეს.

◆ **სახალხო კითხვები დღეს.** სამკურნალო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ქ. უთმელიძე: „მელიას თავგადასავალი“, ხარფუხის აუდიტორიაში—ქ. ფავლენიშვილი „სპილოებზე, ნავთლუღში ქ. ს. ასათიანი, ცივ ქვეყნებზე, ქ. ნასიძე—„ქაღალდის წარმოება“.

◆ **საზოგადო კლუბი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, წარმოდგენა გაიმართება, რომლის შემდეგაც საუბარი გაიმართება ამ საღამოს წარმოდგენილ პიესების გამო: “ვეროჩკა“ და „შეცდომა“.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება დღეს, 8 დეკემბერს მოხდება. სხვათა შორის, კომისია გადასინჯავს ხორცის ნიხრს.

## სასამართლო

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ** ქუთაისი, ბათომი და სოხუმი მოიარა და ტფილისს დაბრუნდა.

## სომხეთა ცხოვრება

◆ **ა. არასხანიანის გარდაცვალების გამო.** 6 დეკემბერს მოღნინის ეკლესიაში აუარებელ ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი სომხეთა ცნობილ მოღვაწის, ჟურნალ „მურჰ“-ის რედაქტორად ნამყოფ ავეტის ნიკიტას ძე არასხანიანის სულის მოსახსენებლად.

◆ **ნ. პ. ქოქჩაევის გარდაცვალება.** გუშინ მიწას მიაბარეს ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფ ნიკოლოზ პეტრეს ძის ქოქჩაევის გვამი. პანაშვიდი გადახდილ იქმნა მოღნინის ეკლესიაში, სადაც ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა სიტყვა წარმოსთქვა. ცხედარი მიწას მიაბარეს ხოჯივანქის სასაფლაოზე.

# შავი ქვის მრეწველთა კრება

### 4 ნოემბერი.

ამ დღეს კრებამ განიხილა ინჟენერ საპიცკის მოხსენება მთავარ ლიანდაგიან მისავალი გზების გაკეთების შესახებ.

ბ-ნ საპიცკის სიტყვით, ეხლანდელ პირობებში მადნის მიტანა რკინის გზის ლიანდაგამდე ძვირად ჯდება. ამის მიზეზი ის არის, რომ შორეული მაღაროებიდან მადანი ურმებითა და ცხენის საპალნებით ჰხდება. ამ გარემოებამ არა ერთხელ მიიქცია თავის თავზე ყურადღება და არა ერთი და ორი პროექტი შესდგა მადნის გადატანის გასაიაფებლად. მაგრამ ბ-ნ საპიცკის აზრით, საუკეთესო საშუალებად მადნის გადმოტანის გასაიაფებლად იქნება არსებულ ლიანდაგის გაგრძელება შორეულ მაღაროებამდი. როცა ეს აზრი განხორციელდება, მაშინ „სპუსკების“ გაკეთებაც უფრო გაადვილდება. ეს გარემოება თვალ-საჩინოდ გააიაფებს მადნის მოტანას შორეულ მაღაროებიდან.

რკინის გზის ლიანდაგის გაგრძელება მოითხოვს ჭალის ხეობა (6 ვერსს), წირქვალისა (3 ვერსს), დარკვეთისა (2 ვერსს), ითხვისისა ($1\frac{1}{2}$ ვერსს) და შუქრუთისა ($1\frac{1}{2}$ ვერსს) და სულ საჭირო შეიქნება 14 ვერსის ლიანდაგის გაყვანა, რაც დაახლოვებით მოითხოვს 700 ათას მანეთს. სამაგიეროდ მადნის მექანიკური ჩამოსაშვების გაკეთება 400 ათასი მანეთით ნაკლები დაჯდება, გარეშე ამისა მადნის გადმოტანის ფასი საგრძნობლად დაიწევს.

ბ-ნ საპიცკის პროექტი ყველამ ერთხმად მოიწონა, საჭიროება ლიანდაგის გაგრძელებისა შორეულ მაღაროებამდი ყველამ აღიარა, მაგრამ სამაგიეროდ კითხვამ, თუ ვინ უნდა მიიღოს თავის თავზე ამ ლიანდაგის გაკეთება დიდი კამათი გამოიწვია.

სხვილი მრეწველობის წარმომადგენელნი იმ აზრისა იყვნენ, რომ ლიანდაგის გაგრძელება და მისი მოწყობა რკინის გზას უნდა ვთხოვოთ, ხოლო წვრილი მრეწველნი, იმ მოსალოდნელი აზრით შეშინებულნი, რომ რკინის გზის მმართველობა საქმეს დააგვიანებს და დიდ ფრახტს დააწესებს ახალ ლიანდაგზე, იმ აზრს ემხრობოდნენ, რომ თვით მრეწველთა კრებამ მიიღოს თავის თავზე ხსენებული ლიანდაგის გაკეთება. ბოლოს ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩის წინადადებით კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ლიანდაგის გაყვანა მიენდოს რკინის გზის გამგეობას, იმ პირობით, რომ ახალ ლიანდაგზე არსებობდეს ის ფრახტი, რომელიც ახლა ან შემდეგში იქნება ჭიათურის შტოზე; ახალი რკინის გზის ლიანდაგის გამოსაკვლევად გადაიდოს მრეწველთა საშუალებიდან 10,000 მანეთი იმ პირობით, რომ თუ რკინის გზის გამგეობა იტვირთებს რკინის გზის გაყვანას, იმ შემთხვევაში ეს ფული დაუბრუნდეს მრეწველთა კრებას; თუ რკინის გზის მმართველობამ არ იტვირთა ლიანდაგის გაგრძელება, იმ შემთხვევაში შავი ქვის მრეწველთა საბჭომ მოლაპარაკება გამართოს კერძო კაპიტალისტებთან იმ აზრით რომ ხსენებულ ლიანდაგის გაკეთება მათ მიენდოს კონცესიის წესით.

ბ-ნი ზდანოვიჩის წინადადება ერთ ხმად იქმნა მიღებული.

ს. ე. კ.

# ორი აღწერა და ერთი თქმულება

თუ რავდენი ძველი ჩვენი დიდების დამამტკიცებელი ნაშთებია, გაფანტული ჩვენს კურთხეულ სამშობლოში და როგორ უპატრონოდ არის მიტოვებული—ყველამ ვიცით. საბედნიეროდ ამ ბოლო დროს გამოღვიძება დაგვეტყო და ბევრნი, ჰკრეფენ ხალხში დარჩენილ თქმულება-ლეგენდებს. ამ დარგში მეტი მხნეობა გამოიჩინა ჩვენმა ფრიად სიმპატიურმა დაწესებულებამ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის წევრებიც ასე გულმოდგინედ ეკიდებიან საქმეს, აგროვებენ ძველს ნაშთებს და ამა თუ იმ გაზეთში ჰბეჭდავენ ჩვენთვის ჯერ უცნობ, მაგრამ დიდიხნის არსებულს ეკლესიებ-მონასტრების აღწერას.

გაზაფხულზე საქართველოს სამხედრო გზაზე ფეხით მოგზაურობის დროს ერთმა სოფლის სკოლა გათავებულმა, სიონელმა მოხევე ვანო კობიძემ, მომაწოდა მინდვრის წმ. გიორგის და ბეთლემის ეკლესიების აღწერა, ამას გარდა ჩაუწერია ლომისის ჯვრის თქმულებაც. ყველა ამას ვბეჭდავთ.

### მინდვრის წმ. გიორგის ეკლესია.

ეს ეკლესია არის ერთი უძველესი ნაშთი მთელს დარიალის ხეობაში. იგი აშენებულია მშვენიერს ალაგას გაშლილ ძინდორზე, რისთვისაც ალბად **„მინდვრისას“** უწოდებენ, ს. გარბანის მახლობლად—და ლამაზი თლილი ქვით არის ნაგები. გუმბათი ჩანგრეული აქვს. ამაზე უკეთესი სილამაზით და საყურადღებო მრავალნაირი წარწერებითა და ჩუქურთმებით, რომლითაც უფრო გუმბათის პირებია შემოვლებული, ახლო-მახლო ხეობაში არ მოიპოვება.

გალავნის შუა ალაგას მიწის ქვეშ თითქმის სულ-ერთიან სენაკებია. ერთი სენაკიდან კაცს ექვს-შვიდ სენაკში შეუძლიან გავიდეს. ესენიც კარგი მკვიდრი ნაშენებია და უმეტესი ნაწილი ადამიანის ძვლებით არის ამოვსებული.

აქვე აგიწერთ ერთ ფრიად საყურადღებო ამბავს, რომელიც ამ მოხევის ვ. კობიძის თვალ-წინ მომხდარა.

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს გალავანში ერთ ადგილას მიწა ჩაინგრა და გამოჩნდა ქვით ამოგებული ორმო საფეხურებით. შიგ გამოჩნდა აგრეთვე დასავლეთისკენ შესავალი კარები. ორნი ჩასულან სანთლით და უნახავთ სენაკი სიპი ქვის საწოლებით გამართული. ზედ წამოსასხამ-ნაბდები იყო. გადაწევისას კალთა ისე გადატყდა, როგორც ხის ქერქი. მის ქვეშ ხუთი ადამიანის ხელუხლებელი ჩონჩხები იყო, ზოგი პირაღმა და ზოგი გვერდზე მწოლიარე. ბოლოს, რადგან ხალხმა სანახავად სიარული დაიწყო, სოფლელებმა ცოდოთ მიიჩნიეს და ორმო ამოავსეს. ხალხში გადმოცემაა დარჩენილი, ვითომც აქ სენაკებში და ზოგ ალაგს განძეულობა იყოს დარჩენილი. რამდენად მართალია ეს სიტყვები ამას შემოწმება და გასინჯვა უნდა. ადვილი შესაძლებელია აქ გათხრის დროს ბევრი რამ ძვირფასეულობა იპოვოს კაცმა.

### ბეთლემის ეკლესია.

ბეთლემის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულია ერთ მიუვალ ფრიალო კლდეზე მყინვარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელსაც ადამიანის ფეხი ვერ ეკიდება, რადგან კედელსავით ამართულ კლდეზეა. მისი დღეობა მოდის 15 მარიამობისთვეს. აუარებელი მლოცველი ეტანება, მაგრამ ეკლესიას ვერ უდგება და მის ძირას კოშკთან უხდება დარჩენა, სადაც მსხვერპლსა სწირავს. შესცქერი ამ ეკლესიას და გიკვირს, თუ საიდან და როგორ მიუდგა ადამიანის ხელი, თუ ქვა კლდისა იხმარეს დუღაბი და სხვა მასალა როგორღა აიტანეს. სწორედ რომ საკვირველებაა. გზა ბევრს უძებნია, მაგრამ მისავალიც კი ვერ მიუგნიათ.

ხალხში ეხლა ზღაპარივითაა დარჩენილი ერთი ამბავი: ს. გერგეტში მცხოვრებელმა ლინჯა სუხიაშვილმა გაჰბედა და მოინდომა იქ ასვლა. კლდეს ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ცხრა დღის ძებნის შემდეგ მიუგნია ერთ ადგილას ჯაჭვისთვის, რომელიც კლდეზე ჩამოშვებული ყოფილა. ზოგიერთების თქმით ჯაჭვი ზემოდან ვიღასაც ჩამოუშვია და გადმოუძახია: „ამოდი და როგორც მე არ მომასვენე, ისე შენმა ოჯახმა და შთამომავლობამაც არ მოისვენოსო“. ლინჯას ხელი მოუვლია ჯაჭვისთვის და ასულა ეკლესიაში. დაუნახავს იქიდან მტრედი გამოფრენილა და წასულა. ეკლესიაში უნახავს სამნაირი პურის მარცვლების გროვა. ერთ ალაგას ფარჩა გადაფარებული აკვანი მდგარა. მას ყველა ამის ნიმუშები წამოუღია. აკვნისთვის აუთლია ნაფოტი და ფარჩისთვის კი კალთა მოუხევია. სანამ სახლში ჩამოვიდოდა მისი ოჯახი ლეკებს აუკლიათ, გადარჩენილა მხოლოთ ორი გასათხოვარი ქალი.

### თქმულება ლომისის შესახებ.

შაჰაბასის დროს საქართველოში სხვათა შორის აუკლიათ ლომისის ეკლესიაც, საიდანაც ერთი შევერცხლილი ძვირფასი ჯვარი წაუღიათ სთათრეთში. იქ სამი წლის განმავლობაში, ლომისის ჯვრის ძლიერებით, არც მოსავალი მოსულა და არც ქალებს შვილები ეძლეოდათ. ბოლოს თათრებმა მიჰმართეს მკითხავებს. მათ ეთქვათ, საქართველოდან ერთი ძლიერი ხატია წამოღებული და სანამდის იმას უკან არ გაგზავნით ეს უბედურება თავიდან არ აგცდებათო. თათრებს, რომ გაეგოთ თუ რომელი ხატი იყო ძლიერი, ყველა ჩვენი ხატები ცეცხლში ჩაეყარათ.

უცბად ცეცხლიდან ამომხტარა ლომისის ჯვარი და დასდგომია რქებზე იქვე მდგომ ხარს, რომელსაც ბდღვრიალი, ხტუნვა და ცეცხლის გარშემო სირბილი დაუწყვია. ხალხს მკითხავებისთვის უკითხავს, ხარი რად შვრება ამასაო. მათ უპასუხნიათ, ჯვარი თავის ტყვეებს ითხოვსო. მართლაც თათრებს გაენთავისუფლებინათ სამი ათასი*) ქართველი, ზოგი კი ადრევე დაეხოცნათ. ამათ მაგივრად, მკითხავების შთაგონებით, ჯვრისთვის გამოეყოლებინათ ერთი კომლი თათრები. დღეს ესენი დასახლებულნი არიან ლაკაფ ხევის ხეობაში,—არაგვის პირას, და თათარიანთ უწოდებენ.

—

როგორც ზემოდ მოყვანილ აღწერებიდან სჩანს საქართველოს სამხედრო გზაზე ბევრი რამ საყურადღებო სანახავია. მლეთაში ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა მითხრა: ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში აქეთ ერთი არავინ ყოფილა, რომ მუშტრის თვალით დაეთვალიერებინოს მისი ეკლესიაც კი, რომელიც ზედ გზის პირზეა და რომელსაც კაცი გზას ვერ აუქცევს. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ არავინ შეიწუხებდა თავს ასულიყო ზოგიერთ მთებზე და კლდეებზე, სადაც უფრო მეტ საყურადღებო რასმე შეხვდება კაცი. ამისთვის აუცილებლად საჭიროა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, თუ ეხლა თოვლიანობის გამო შეუძლებელია, ზაფხულში მაინც გაგზავნოს მცოდნე პირი და შეკრიბოს ბევრი სასარგებლო მასალა.

სტ. ალ. მამულაშვილი.

# ბალკანეთის ომი

### გაზეთებიდან.

### სამშვიდობო მოლაპარაკება

ლონდონიდან იუწყებიან: ოსმალეთმა გადაჭრილი უარი განაცხადა საბერძნეთის მონაწილეობაზე სამშვიდობო მოლაპარაკებაში, რადგან ამ უკანასკნელს ხელი არ მოუწერია დროებითი ზავის პირობაზე. ოსმალეთი უკმაყოფილოა აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ თევფიქ-ფაშა არ მიიწვიეს ლონდონის ელჩთა კონფერენციაზე. კონფერენციაში რუმინიის მონაწილეობის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა; ამის გამო მოლაპარაკებაა გამართული სამთა შეთანხმების სახელმწიფოებს შორის ასეთ პირობებში დაწყებულს, ელჩთა კონფერენციის მუშაობას სკეპტიკურად უცქერიან. კვლავ გადასდეს მისი პირველი სხდომა.

### პარიზის კონგრესი.

იქიდანვე იტყობინებიან: იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო მოლაპარაკება [illegible] დაგვირგვინდა აღძრავენ საკითს ევროპის კონგრესის მოსაწვევად, რომელიც დაადასტურებს ახალ სტატუს-ქოვს ახლო აღმოსავლეთში. თუ საჭირო იქნა ასეთი კონგრესის მოწვევა, იგი პარიზში მოხდება.

### მოკავშირეთა ერთობა.

ლონდონიდან იუწყებიან: სამშვიდობო მოლაპარაკების მონაწილენი ყველა მოვიდა. გუშინ ჰაიდ-პარკის სასტუმროში მოკავშირეებს თათბირი ჰქონდათ, სადაც დაადგინეს: სრული თანხმობითა და ერთსულოვნობით იმოქმედონ. ასეთ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით მიეგება ლონდონის პოლიტიკური წრეები.

### სამშვიდობო თათბირის თავმჯდომარე.

ლონდონიდან ცნობაა: დღეს, ნაშუადღევს ედუარდ გრეის წარუდგენენ მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რის შემდეგაც ოსმალეთის მთავარმა წარმომადგენელმა რეშიდ-ფაშამ ბულგარეთის დელეგატები გაიცნო. სამშვიდობო თათბირის თავმჯდომარედ იქნება სერბიის პრემიერ-მინისტრად ნამყოფი ნოვაკოვიჩი, როგორც ყველა წარმომადგენელზე უხუცესი. თუ ოსმალეთი მის არჩევანს არ დასთანხმდება, მაშინ თითოეულ სახელმწიფოს უფროსი წარმომადგენელი ითავმჯდომარებს რიგ-რიგობით. ერთხმად დაადგინეს: ნუ მივსცემთ პრესას ისეთ ცნობებს, რომელიც ყველასაგან არ იქნება მოწონებულიო.

### ბულგარეთის გადაწყვეტილება.

სოფიიდან იტყობინებიან: ბულგარეთს განზრახვაც კი არა აქვს ადრიანოპოლზე ხელისაღებისა; მით უმეტეს რომ ოსმალები თითქოს შეურიგდნენ კიდეც ამ ქალაქის დაკარგვის შესაძლებლობას.

### სკუტარის საკითხი.

ლონდონიდან იუწყებიან: ჩერნოგორიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავარი საქმე სკუტარის საკითხია, რომლის შესახებაც მოკავშირეთა შორის სრული თანხმობა სუფევს. ჩერნოგორელებს იმედი აქვთ, რომ სკუტარი ალყას ვეღარ გაუძლებს და დანებდება.

### დარდანელთან.

ადესიდან იუწყებიან: გემ „კოროლევა ოლგა“-თი მოსულნი ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის ფლოტი დარდანელის სრუტეში სდგას საბრძოლველად გამზადებული. ოსმალეთის ფლოტში სამი კრეისერია, ათი ნაღმოსანი და სამი ტრანსპორტი; სამი ჯავშნოსანი ეგეის ზღვაში გავიდა.

# ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები

### 7 დეკემბერი.

**სოფია.** მისასალმებელი დეპეშა სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციისა პალატაში წაიკითხეს. პალატა აღტაცებით მიეგება დეპეშას.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატი კოლონიანი ურჩევს სან-ჯულიანოს ფხიზლად ადევნებდეს თვალყურს ავსტრია-ჰუნგრეთის გამოსვლას ალბანეთის საკითხის გამო.

**პარიზი.** კოკოვცევის სიტყვას საფრანგეთის პრესა თანაგრძნობით მიეგება.

**ლონდონი.** „ვესტ მინისტერ—გაზეთი“ კოკოვცევის სიტყვას მშვენიერს ეძახის. კოკოვცევის სიტყვა, გაზეთის აზრით, მომასწავებელია ევროპის მშვიდობიანობისაო.

**ბერლინი.** ადგილობრივ პოლიტიკოსთა წრეში კოკოვცევის სიტყვას სრული თანაგრძნობით ეკიდებიან. „ლოკალ-ანცეიგერი“ სწერს: კოკოვცევის სიტყვას შეუძლიან გაჰფანტოს ყოველივე ეჭვი მშვიდობიანობის დარღვევის საკითხში. მისი სიტყვა ხელს შეუწყობს, უფრო გულდამშვიდებით შეაფასონ სახელმწიფოებმა ეს, თუ ის მოვლენაო. სხვა აზრისაა „ბერზენ-ცეიტუნგი“ და „პოსტი“, მათის სიტყვით კოკოვცევის სიტყვას არ შეუძლიან დამამშვიდებელი ხასიათი იქონიოს სახელმწიფოებზე.

### გაზეთებიდან

### ავსტრია და სერბია.

პარიზიდან იუწყებიან: საფრანგეთის პოლიტიკოსები გაფაციცებით

---

*) ზოგიერთების თქმით შვიდი ათასი.

ადევნებენ თვალ-ყურს ვენიდან მოსულ ცნობებს, რომელნიც თან და თან ირკვევა. მეტცენდორფისა და კრობატინის დანიშვნა სამხედრო პარტიის გამარჯვებას მოასწავებს. ბერხტჰოლდის მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეირყა, მაგრამ იგი მაინც დარჩება თავის ადგილს, რადგან მისი მიზანია, ხელი შეუშალოს ბალკანეთის კავშირის გაძლიერებას, რათა ავსტრიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ გავლენას ბალკანეთზე არა ევნოს რა, ეს კი სამხედრო პარტიის პირველ მისწრაფებას შეადგენს. ერთად-ერთი გარემოება, რომელიც აკავებს ავსტრიას, ის არის, რომ ფული არა აქვს და საფრანგეთში, მთავრობისა და საზოგადოებრივი აზრის მიზეზით, ვერც იშოვის. ახლახან გერმანისა და ამერიკაში აღებული სესხი ხარჯის ერთს მცირე ნაწილსაც თუ დაჰფარავს. ფრანგები პატივისცემით ეკიდებიან რუსეთის მთავრობის სიმშვიდეს, რომელიც არ აჰყვა ავსტრიის უაზრო მუქარას, მაგრამ ამასთანავე იმედი აქვთ, რომ რუსეთი შესაფერ ღონისძიებას მიიღებს სიფრთხილისათვის.

### საშიში ნიშანი.

გაზ. „ტრიბუნას“ ვენეციიდან ატყობინებენ: ავსტრიის სანაოსნო საზოგადოებამ ბრძანება მიიღო: ტრიესტსა და ვენეციას შუა შესწყვიტე გემთა მიმოსვლაო. ამბობენ, ეს განკარგულება იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ავსტრიის მთავრობა სამხედრო მიზნისათვის აგროვებს სავაჭრო გემებს, რათა საჭიროების დროს მზად ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებათა განსაზღვრული რიცხვი.

### ავსტრიის საომარი სამზადისი.

გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი“ იტყობინება: ავსტრიის ორმა ბატალიონმა, აგრეტოდებულმა „დეიჩ მეისტერ“-მა, ბრძანება მიიღო, სამხრეთისკენ წადიო. „ბერლინერ ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ბერლინში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ავსტრიელებს მოწერილობა მოუვიდათ: დაუყოვნებლად სამშობლოში დაბრუნდიო. სამხედრო სამინისტრომ ჯარის საჭიროებისათვის შეიძინა სამხედრო დირიჟაბლი „შუტ ლანცე“.

### სომხეთის საკითხი.

პეტერბურგიდან გაზ. „კასპს“ ატყობინებენ: დიპლომატიურ წრეებში თან და თან ძლიერდება რწმენა, რომ საჭიროა რუსეთის პოლიტიკური კურსის შეცვლა კავკასიაში და რომ შესაძლებელია აღიძრას საკითხი სომხეთის პროტექტორატობისა რუსეთის მხრით. სტამბოლიდან ცნობაა, რომ რუსეთის ელჩმა ოსმალეთის მთავრობას განუცხადა: ქურთისტანიდან გამოქცეულ სომხებს საზღვარი უნდა გავუხსნაო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ

7 დეკემბერი

**ტოკიო.** სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან: კაცურას კაბინეტის შედგენილობა შემდეგი იქნება: პრემიერი კაცურა, გარეშე საქმეთა მინისტრი კატო, შ. ნაურ საქმეთა—ოურა, გზათა—გოტო, ფინანსების—ვაკაცუკი, იუსტიციის—მაცუმურო, განათლებისა—სიბატა, სამხედრო—კიკოში, საზღვაო—საიტო.

**ვაშინგტონი.** ტაფტი დასთანხმდა საპროფესორო კათედრას.

**გალეე.** სამედიცინო ფაკულტეტმა გამოსთქვა ის აზრი, რომ გაფიცვა სწორედ არის დაწყებული.

### რუსეთი

**ეკატერინოსლავი.** პროხიანის სადგურზე გაცარცვეს საერთაშორისო ბანკის მეარტელე. წაიღეს 30.000 მ.

**ტომსკი.** უნივერსიტეტის რექტორად ხელმეორედ აირჩიეს ბაზანოვი.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილეს ადრესის ტექსტის შესამუშავებლად აირჩიეს სათათბიროს კომისია. თავმჯდომარედ კომისიისა არჩეულია გრ. შენიგსენის, ამხანაგად ლვოვი მეორე, მდივნათ მასლენიკოვი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 6 ქრისტიშობისთვეს ქ-ნ ნ. დავითაშვილის საბენეფისოდ ქართულმა დრამატიულმა დასმა დასდგა ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „ცაცინათელა“ 4 მოქმედებად. დაწვრილებით ზვალ.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს, 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვ.-დან ხურამში· სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს, 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70. საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** 81, ნაშ. 2 ს, 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს; სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ, 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს, 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ, **სახ,** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში, სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“**

საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს.** შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.,** ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ,

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.,** საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.,** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.,** საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“**

საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:
**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედბალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **ზ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქობანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
ი, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ, 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—13.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## განცხადებანი

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი**

**„SALO—პირილინი“**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე დევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

წ. 1161

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 9. ს. გაბაშვილისა.

## ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
## სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„**606**“—11—12 ს. **შეშხაპუნება** კონსულტატიურად.

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ნ. გ. ბგახაროვი:** 1 ... ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შიგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მუშელიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბუდაღიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიბანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბუდაღიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.**

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, **№ 34,** ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ქალახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს.-მდე). მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

## „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## მუხრანის კერძო
## სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თეძერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ექიმების მიერ: | | დილით: |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ. | სპექტიორი გ. მ. | . . . | $8\frac{1}{2}$—$9\frac{1}{2}$ ს. |
| | გაზაზოვი ა. ა. | . . . | 10—11 ს. |
| | იაშვილი ა. ლ. | . . . | 11—12 ს. |
| | აბაკელია ი. კ. | . . . | 12—1 ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. | . . . | $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ ს. |
| სადასტაქრო სნეულებანი: | გრიგორიანი ა. ი. | . . . | 11—12 ს. |
| | მელკონიანი გ. ა. | . . . | 12—1 ს. |
| | ჯაში ი. ი. | . . . | $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს. |
| საშარდე და ვენერიული, ტყავის სნეულებ. | გრიგორიანი ა. ი. | . . . | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილ. და საბებიო. | ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ. | | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე | . . . | $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ ს. |
| სნეულებ. ყურის, ყელის და ცხვ. | შტრეიხერი მ. ა. | . . . | 12 $12\frac{1}{2}$ ს. |
| თვალის სნეულებ. | შაპელნიკოვი გ. ი. | . . . | $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

## ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროცენტისა.

ЧАСЫ
АНКЕРЪ
СЕКРЕТ
НА 15 КАМ

ოქროს საათის ადგილას, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ. 70 კ. ღირს, გირჩევთ **ხრონომეტრს,** რომელიც იოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვილ ოქროში. საათი ბტყელია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათში ერთხელ იმართება. ჩემის ფირმის გასავრცელებლად ყოველ საათს საჩუქრად ვატან 20 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამდვილ ამერიკ. ოქროს ძეწკვს, 2. ერელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერი ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან საფულეს, 10 შემკვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის სალებავი, 12. დაბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას,** 13. პარიზის პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელს, 14—19 ამ პლასტოგ ამეტ. და საგულისხმო სურათი. 20. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს სანახაობას. ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ. ა ეთივე სახურავებიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

**მისამართი:** Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.

მეტცლ. № 61279. 1590

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

## კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის
## თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

**სორაპანის გამოცემა**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად **„კედლის კალენდარი 1913 წ.“, შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.** კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათებით, შეკრულია თუნუქით, კარდონი დაბეჭდილია 4 ფერი საღებავით. იყიდება ყველგან. ფასი 40 კაპ.—დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ აგრეთვე **„სახალხო კალენდარი“ 1913 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.** კალენდარი დასურათებულია აუარებელი სურათებით. ფასი 20 კ.—გამყიდველებს %% დაეთმობათ. ა დ რ ე ს ი: ტფილისი. სტამბა „სორაპანი“. 849

## ახალი ჟურნალი
## „განთიადი“

1913 წლის პირველ იანვრიდან

**ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი**

## „განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4 მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ. ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაქვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავარიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

1615 რედაქტორ-გამომცემელი **მღ. ს. მჭედლიძე.**

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მემობრონე“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ტფილისის ქალაქის
## გამგეობა.

მიმდინარე წლის **17 დეკემბერს,** შუადღის 12 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

ვერის დაღმართზე, ვერის მოედნის პირდაპირ მდებარე **მიწის**

## იჯარით გასაცემად,

სადაც მოიჯარადრემ უნდა ააშენოს სავაჭრო პავილიონი, ქალაქის გამგეობის მიერ მოწონებულის გეგმით. მოიჯარადრეს სარგებლობაში იქნება ეს სახლი 6 წელიწადს.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილების საიჯარო მაგიდასთან ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. 1625

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი

## მმ. ძმველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის

## სელიოტკები,

და ყოველგვარი

## კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.